ხელშეკრულება №98

ქ. ოზურგეთი 19 ივნისი 2015 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მერის, ბეგლარ სიორიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, ი.მ. ბადრი ერქომაიშვილი (შემდგომში - მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და CPV კოდი

1.1. ხელშეკრულების საგანია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს განხორციელებული პროექტის - „საქართველოს მოხალისე"-ს მონაწილეების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად.
1.2. CPV კოდი: 60172000 - ავტობუსებისა და ვაგონების დაქირავება მძღოლთან ერთად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით.
2.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.
2.3. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 150 (ასორმოცდაათი) ლარს, კანონმდებლობით გათვალისიწნებული გადასახადების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა მოხდეს შემდეგნაირად:
- ოზურგეთი - წალკის მიმართულებით, 2015 წლის 22 ივნისი;
- კასპი - ოზურგეთის მიმართულებით, 2015 წლის 24 ივნისი.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა და სხვა).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხდება ეტაპობრივად შემსიყდველის მოთხოვნის შესაბამისად, მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.
5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის სამსახურის უფროსი ვლადიმერ კუნჭულია.

6. ანგარიშსწორების ფორმა

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად *ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 19 ივნისის N564* ბრძანებით გამოყოფილი თანხებიდან, ეროვნული ვალუტით.
6.2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მომსახურების გაწევის შემდეგ.
6.3. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება მე-5 მუხლის 5.3 პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღეში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. ხელშეკრულების ინსპენქტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი ხათუნა შარაძე.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 1 სექტემბრამდე.

15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი იურიდიული მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1. ტელ.: 551 19 91 91 საინდენტიფიკაციო კოდი: 237 113 850 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ა 200122900	ი.მ. ბადრი ერქომაიშვილი მისამართი: ქ. ოზურგეთი, ღლონტის ქ. №1; საიდენტიფიკაციო კოდი: 33001007232 ბანკის დასახელება: სს „ლიბერთი ბანკი“. ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ა GE16LB 0112 1335 7160 5000
ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი:	*ი.მ. ბადრი ერქომაიშვილი:*
ბ. სიორიძე	*ბ. ერქომაიშვილი*

საქართველო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-47-40 №1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-47-40

N 564
19/06/2015

564-01-4-201506191615

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში, ბიუჯეტის გადასახდელებით გათვალისწინებული ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯებიდან, ტრანსპორტირების ხარჯის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის და „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" 2014 წლის 26 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე 2015 წლის 4 მაისის N25 დადგენილების დანართის - 18 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პროგრამაში - ,,საქართველოს მოხალისე", მონაწილეთა ტრანსპორტირების დასაფინანსებლად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში, ბიუჯეტის გადასახდელებით გათვალისწინებული ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯებიდან, (მუხლი 18-ე; პროგრამული კოდი: 05.00.) გამოიყოს თანხა 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

მუხლი 2. დაევალოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გადარიცხოს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული თანხა შესაბამის საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ბეგლარ სიორიძე

მერი